სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N127

ქ.ქუთაისი შედგენის თარიღი: 20 ივნისი 2023 წელი

ერთი მხრივ **სსიპ კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით და მეორე მხრივ **შპს „გოგე და კომპანია“** (შემდგომში მიმწოდებელი)წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გოგელიძსის სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატერების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

სანტექნიკური მოწყობილობების (CPV კოდი:44163100-მილები;44167300-მუხლები,სამკაპები და მილების არმატურა;44411100-ონკანები;44411300-პირსაბანი ნიჟარები) შესყიდვა (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N 1 -ის შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **294.20**(ორასოტხმოცდათოთხმეტი და 20 თეთრი) ლარს. დღგ-ს ჩათვლით. **დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3,3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღეში.

4. ხელშეკრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2019 წლის 24 სექტემბრის N 339 ბრძანებით შექმნილი კომისია (თამარ დვალი, ბერიკა უშვერიძე, რუსუდან ხაბულიანი)

4.3 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61.

5,2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მოთითებულია ხელშეკრულების 5,2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გასვლის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გავალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8,5 მხარე ვალდებულია 8,4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8,6 ხელშეკრულება ასევე შიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატიცით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერსთანავე და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ კოლეჯი „იბერია“	**შპს „გოგე და კომპანია“**
მის:ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61.	**მის:ქ.ქუთაისი ნიკეას ქN1/8**
საიდენტიფიკაციო კოდი: 212 682 051	**საიდ კოდი:412733957**
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	**თიბისი ბანკი**
ბანკის კოდი: TRESGE22	**ბანკის კოდი:TBCBGE22**
სახაზინო კოდი: 709137509	**ანგ ნომ:GE42TB7175 6360 5010 0001**
ირაკლი ავალიანი	**გიორგი გოგელიძე**

Irakli Avaliani 60001013361

Digitally signed by Irakli Avaliani
Date: 2023.06.20 11:43:52

George Gogelidze

Digitally signed by George Gogelidze
Date: 2023.06.20 15:42:11 +04'00'

დანართი N1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ.ფასი	სულ	CPV
1	დამჭერი 20(თეთრი) firat	ცალი	10	0.4	4.00	44167300-მუხლები,სამკაპები და მილების არმატურა
2	უნაგირი 50*1/2 პრიზ კოლიე 50*1/2	ცალი	1	4.30	4.30	
3	ვინტილი 200მმ კურასელ გეჩმე ვანა 20*20	ცალი	1	6.60	6.60	
4	სიფონი დიდ თავით 50 იანი გამსვლელით	ცალი	1	16.00	16.00	
5	მოქნილი მილი ½-1/2-60 სმ EL057	ცალი	2	7.00	14.00	
6	ჩამკეტი ვინტილი ½-1/2 DH009 რედ	ცალი	2	11.00	22.00	
7	მუხლი 20 KAS	ცალი	18	0.6	10.80	
8	ქურო 20 KAS	ცალი	14	0.40	5.60	
9	სამკაპი 20 KAS	ცალი	5	0.5	2.50	
10	მუხლი 20x12* გარე ხრახნით KAS	ცალი	4	4.00	16.00	
11	მუხლი 20x12* გარე ხრახნით KAS	ცალი	4	3.5	14.00	
12	ონკანის მოქნილი მილი ½-10 60სმ EL051A LONG	ცალი	2	7.20	14.40	
13	მილი PN 16 20 KAS	მეტრი	16	2.00	32.00	44163100-მილები
14	W-003 კობრა ონკანი სამზარეულოსთვის მეტალის	ცალი	1	25.00	25.00	44411100-ონკანები
15	ეზოს ონკანი CC017 ½	ცალი	2	16.00	32.00	
16	უჟანგავი ლითონის ნიჟარა 770*500*170მმ*0,6მმ ჩასასმ სიფონით	ცალი	1	75.00	75.00	44411300-პირსაბანი ნიჟარები
	ჯამი				**294.20**	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს „გოგე და კომპანია“-ს შესყიდვების განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირები:

სსიპ კოლეჯი „იბერია“

დირექტორი: /ი.ავალიანი/

შესყიდვების სპეციალისტი: Giga Pakhuridze 60001034646 Digitally signed by Giga Pakhuridze Date: 2023.06.20 11:46:30 /გ.ფახურიძე/